

მოლაპარაკებები სამოქალაქო კონფლიქტში და მესამე მხარის ჩარევა

თეონა ვარძელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა ვარძელაშვილი

22.06.2018

აბსტრაქტი

სახელმწიფოთა შორის ომებთან შედარებით სამოქალაქო ომები უფრო ხანგრძლივია და იშვიათად მთავრდება მოლაპარაკებით. ამასთან, შეთანხმების შემდეგ სამოქალაქო ომის განახლების ალბათობა მაღალია. კვლევათა ერთი ნაწილი თვლის, რომ საერთაშორისო საზოგადოებას აქვს სამოქალაქო ომში ჩარევის მორალური ვალდებულება, ხოლო მეორე ნაწილის მტკიცებით, გარე აქტორებმა თავი უნდა შეიკავონ ინტერვენციისგან, რადგან ეს მათთვის იქნება ძვირადღირებული და გაახანგრძლივებს სამოქალაქო ომებს. საწინააღმდეგო არგუმენტებია იმაზეც, თუ რომელი კატეგორიის ომში უფრო ადვილია მოლაპარაკების მიღწევა. ნაშრომში განხილულია შესაბამისი კვლევები და მათი მიგნებების შესამოწმებლად წარმოდგენილია სამი ჰიპოთეზა, რომელიც მიღებულია არსებული თეორიებით. ჰიპოთეზები ტესტირებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდებით.

რეგანის და ბალჟ-ლინდსის მესამე მხარის ჩარევის თეორიის მიხედვით მთავრობის, თუ ოპოზიციის მხარდაჭერა გაზრდის დროს მოლაპარაკებების მიღწევამდე. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერვენციას, რომლის დაახლოებით ნახევარი ნეიტრალურია, ის შესაძლებელია უფრო ეფექტური იყოს კონფლიქტის დასრულების შემდეგ სტაბილურობის შესანარჩუნებლად, მაგრამ კონფლიქტის მიმდინარეობისას მრავალმხრივი ინტერვენცია არ არის საკმარისი კონფლიქტის ეფექტური მენეჯმენტისთვის. აღნიშნულ თეორიაზე და მესამე მხარის გარანტიების შესახებ ვოლტერის თეორიაზე დაფუძნებით ჩამოყალიბებულია H1, რომ მესამე მხარის ჩარევა ძლიერი გარანტიების გარეშე ართულებს სამოქალაქო კონფლიქტში მოლაპარაკების პროცესს. ჰიპოთეზა დადასტურდა ემპირიული მონაცემებით და სამი სამოქალაქო ომის შესწავლის გზით. ამასთან ერთად, ემპირიული სტატისტიკური კვლევის მიხედვით მესამე მხარის ჩარევა არ ამცირებს დროს შეთანხმების მისაღწევად და მოლაპარაკება უფრო ეფექტურია, როდესაც ინტერვენციას ასრულებს არა სხვა სახელმწიფო, არამედ საერთაშორისო ორგანიზაცია.

ნაშრომში დადასტურდა ისიც, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილე აქტორების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება კონფლიქტის ხანგრძლივობაც

(H2). ჰიპოთეზა მომდინარეობს კანინგჰემის თეორიიდან, რომ სამოქალაქო ომში სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართული აქტორების (ვეტო მოთამაშეების) გაზრდილი რაოდენობა სამოქალაქო ომში მნიშვნელოვნად ართულებს მოლაპარაკებების პროცესს.

რაც შეეხება მესამე ჰიპოთეზას, რომ მოლაპარაკების მიღწევა უფრო რთულია სეპარატისტულ კონფლიქტში ხელისუფლების წინააღმდეგ დაპირისპირებასთან შედარებით (H3), მის დასადგენად მონაცემთა ორი ბაზიდან აღებულია მონაცემებმა სხვადასხვა შედეგები აჩვენა, რაც აიხსნება იმით, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების სირთულე დამოკიდებულია ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევებზე. სირთულე შექმნა აგრეთვე კონფლიქტების შესახებ ინფორმაციის განსხვავებულმა კოდირების სისტემამ.

და ბოლოს, შერეულმა კვლევამ დაადასტურა H1 და H2, ხოლო მესამე ჰიპოთეზა არ დადასტურდა სტატისტიკურ მონაცემებში სისტემური ცდომილების გამო.

სამიუბო სიტყვები: სამოქალაქო ომი; სამოქალაქო კონფლიქტი; მესამე მხარე; ინტერვენცია; სამშვიდობო შეთანხმება; სამშვიდობო მისია; მოლაპარაკებები სამოქალაქო ომის დროს; ანგოლას სამოქალაქო ომი; ჩადის სამოქალაქო ომი; გვატემალას სამოქალაქო ომი.

Abstract

Civil wars, unlike interstate wars, last longer and rarely end with negotiations. If the agreement is reached, there is a higher chance that the conflict is renewed. There are some researchers who believe that it is a moral responsibility of international community to intervene in civil wars, while others state that external actors should refrain from intervention as it will be costly and extend the duration of wars. There are also opposing arguments with regard to the category of war that is easier to negotiate. This paper examines relevant studies and based on the existing theories presents three hypotheses to test their findings. Hypotheses are tested by using quantitative and qualitative research methods.

According to the third party intervention theory of Regan and Balch-Lindsey, the intervention, supporting either government or opposition will increase the time until an

agreement is reached. As for the interventions conducted by international organizations, where approximately half is neutral, they might be effective for maintaining stability after the conflict ends, but multilateral intervention is insufficient for effective conflict management. H1 is based on this theory and Walter's theory of third party guarantees, and states that the third party intervention without strong guarantees will complicate the civil conflict negotiation process. The hypothesis is confirmed by empirical data research and case studies of three civil wars. Furthermore, according to empirical statistical research, the third party's intervention does not shorten the time for reaching compromise and interventions by international organizations are more effective than interventions by external states.

Study has also confirmed that the duration of the conflict increases with the increase of the number of parties participating in negotiations (H2). The hypothesis is based on Cunningham's theory that the negotiations will become more difficult as the number of veto players participating in negotiations is increased.

As for the third hypothesis, which states that it is more difficult to reach an agreement during separatist conflicts than it is during conflicts concerning government (H3), the data obtained from two databases show different results. This can be explained by the fact that the difficulty of peaceful conflict resolution depends on specific cases. Information for conflicts is constructed with different coding systems, which further complicated the issue.

Finally, mixed methods research confirmed H1 and H2, but the third hypothesis was not confirmed because of the systemic errors in statistical data.

Keywords: civil war; civil conflict; third party intervention; peace agreement; peace mission; negotiations in civil wars; Angolan civil war; Chadian civil war; Guatemalan civil war.